პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 19 თებერვალი, 1943 წ. № 41 (6666). ფასი 20 კაპ.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას

წითელი არმია, რომელიც წარმატებით ანვითარებს შეტევას საზიზღარ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამართლიან, განმათავისუფლებელ სამამულო ომს ეწევა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში მკვეთრად გაძლიერდა მუშების, გლეხების და ინტელიგენციის მისწრაფება ლენინ-სტალინის პარტიისაკენ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სამამულო ომის პერიოდში გაიზარდნენ საუკეთესო, მოწინავე ადამიანებით, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება და თავდადება საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა პარტიაში მიღების დარგში. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი ამხ. ნეფარიძე) გასულ წელს პარტიაში 106 მოწინავე ადამიანი მიიღო, აქედან საკ. კ. პ. (ბ) წევრად 50 კაცი, კანდიდატად — 56 კაცი. პარტიაში წამყვან პროფესიათა მუშაკების მოზიდვას აქ სათანადო ყურადღებას უთმობენ. კანდიდატებად მიღებულთა შორის 44 წამყვანი პროფესიის მუშაა. პარტიის რიგების ზრდაზე სათანადოდ ზრუნავს ავრეთვე საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაცია.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტი ყოველდღიურად ხელმძღვანელობს პარტიული ორგანიზაციების ზრდის საკითხს. პირველადი პარტორგანიზაციები სისტემატურ მუშაობას ეწევიან უპარტიო აქტივთან, ზრუნავენ მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, იწვევენ ღია პარტიულ კრებებზე, აბამენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასეთი მუშაობის ნიადაგზე ხდება ადამიანების შესწავლა და უკეთესთა მოზიდვა პარტიის რიგებში. დამახასიათებელია, რომ 1942 წლის ზაფხულში კიდევ უფრო გაძლიერდა მოწინავე მუშაკთა მისწრაფება პარტიისაკენ. ამ პერიოდში პარტიაში მოვიდნენ ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს ლუნინელი მემანქანეები ა. ჩოგოვაძე, დ. ფხაკაძე, ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატის ბრიგადირი ქ. სხირელი, მექანიკური ქარხნის ჩამომსხმელი ს. კუპრაშვილი და სხვ.

მუშაობის კარგი მაჩვენებლები აქვს ზუგდიდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. შესამჩნევად გაიზარდა ინგურ-ქაღალდკომბინატის პირველადი პარტორგანიზაცია. პარტიის რიგებში 1942 წელს მიღებულია 24 მოწინავე მუშა, მათ შორის 16 პარტკანდიდატად. გაიზარდა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების რიგები. 1942 წელს პარტიაში მიღებულია 369 კაცი, მათ შორის 259 — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. აქედან 45 პროცენტზე მეტი ქალია.

მაგრამ მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას და ამასთან დაკავშირებით მოისუსტებს მათი მუშაობა მოწინავე ადამიანების პარტიაში მოზიდვის მხრივ.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტორგანიზაციამ 1942 წლის მეორე ნახევარში შეასუსტა ზრუნვა პარტიაში მიღების საკითხებზე და ამით აიხსნება, რომ აქ გასული წლის უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში პარტიაში მიღება არ უწარმოებიათ. ფაბრიკის პარტორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ უთმობს პარტიაში წამყვანი პროფესიების მუშათა მიღების საქმეს. პარტორგანიზაცია არასაკმაოდ ხელმძღვანელობს და ეხმარება კომკავშირის ორგანიზაციას ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებაში და მისი უკეთესი ნაწილის პარტიის რიგებში მიღების საქმეში.

სიღნაღის რაიონის მთელ რიგ პირველადს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში სუსტია მუშაობა პარტიაში მიღების დარგში. 1942 წელს პარტიაში მიღება სრულიად არ უწარმოებიათ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“, ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის და ზოგიერთ სხვა პირველადს პარტორგანიზაციებს. ასეთი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ამ კოლმეურნეობებში სუსტია, ხოლო პარტრაიკომის ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელი არ არის.

პარტიაში ახალი წევრების მოზიდვა და მათი პოლიტიკური აღზრდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის განხორციელებაში მათ სისტემატურად უნდა ეხმარებოდეს რაიონული ან საქალაქო კომიტეტი.

ომის პირობებში უფრო სწრაფად ხდება ადამიანის პირადი თვისებების გამოვლენა, ვიდრე მშვიდობიანობის პირობებში. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს მასებში, იკრებდეს თავის გარშემო უპარტიოთა აქტივს, საიდანაც დროულად და სისტემატურად უნდა არჩევდეს მოწინავე ადამიანებს პარტიაში მისაღებად. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა პარტორგანიზაციებმა ფართოდ გაშალონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და საგეტაციო-საპროპაგანდო მუშაობა უპარტიო მასებში, გაუმჯობესონ დახმარება და ხელმძღვანელობა კომკავშირული, პროფკავშირული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციებისადმი, უპარტიოთა აქტივის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა და სხვ.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები უნდა დაეხმარონ პირველადს პარტორგანიზაციებს დახურულ კრებებთან ერთად მოამზადონ და ჩატარონ ღია კრებები, რომლებზეც უპარტიო აქტივი მიიღებს მონაწილეობას საკითხების გარჩევაში.

მიღწეულ უნდა იქნას, რომ პარტორგანიზაციის რიგების ზრდაში კომუნისტთა მთელ მასას, ყოველ კომუნისტს შეგნებული ჰქონდეს, რომ ზრუნვა პარტიაში ახალი წევრების მიღებაზე მათი ბოლშევიკური მოვალეობაა.

პარტორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ საკანდიდატო სტაჟის გავლა არც ერთ შემთხვევაში არ იყოს ფორმალური, არამედ ცდადაქცეს ახალმიღებულის აღზრდისა და შემოწმების ნამდვილ საშუალებად. ამისათვის საჭიროა სისტემატური ზრუნვა პარტკანდიდატების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, მათი ჩაბმა პარტიის პროგრამის, წესდების შემსწავლელ და მიმდინარე პოლიტიკის წრეებში, პარტკანდიდატების აქტიური ჩაბმა პარტორგანიზაციის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, პარტიული დავალებების მიცემა და დახმარება ამ დავალებათა შესრულებაში.

„პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების საფუძველზე, ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებით პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები გააძლიერებენ პარტორგანიზაციების პარტიულ-მასობრივ და ორგანიზაციულ მუშაობას. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში უნდა მივიღოთ მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის წრიდან გამოსული საუკეთესო, მოწინავე ადამიანები, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის უსაზღვროდ ერთგულნი არიან და ეს მათ სამამულო ომის პირობებში საქმით დაამტკიცეს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც თავი გამოიჩინეს მშენებლობაზე

ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის მშენებლობის დარგში დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. არაქელაშვილი ივანე ლუკას-ძე
2. ბორდაკოვი იაკობ ვასილის-ძე
3. გორჩანევსკი პავლე ივანეს-ძე
4. დიდიკი მიხეილ ვასილის-ძე
5. ყარაგეზოვი ლეონ ტიგრანის-ძე
6. ქოიავა აკაკი ლუკას-ძე
7. ქოქრაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე
8. კოტიცი გიორგი თეოფილაქტეს-ძე
9. კრიტინინი სვიმონ საველის-ძე
10. კუცევიჩი ანტონ ანტონის-ძე
11. მიტროფანიუკი მიხეილ ვასილის-ძე
12. სამოდუროვი მიხეილ ალექსის-ძე
13. სანაძე ივანე ლუკას-ძე
14. სვირიდოვი ალექსანდრე სტეფანეს-ძე
15. ტოროპოვი ვასილ ვასილის-ძე
16. ცერაძე შალვა ალექსანდრეს-ძე
17. ჩეპილენკო გაბრიელ დენისის-ძე
18. შური არკადი გრიგოლის-ძე
19. იაკუშენკო ალექსანდრე იაკობის-ძე
20. იაცეკი ვასილ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1943 წლის 17 თებერვალი. ქ. თბილისი.

საბჭოთა კავშირის გმირის მაიორ ს. კეთილაძის ბრძოლის ეპიზოდი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მაიორმა სერგი პოლიკარპეს-ძე კეთილაძემ დაიმსახურა მისდამი დაქვემდებარებული ნაწილების უნარიანი ხელმძღვანელობით, პირადი მამაცობითა და გმირობით. ერთ-ერთ ბრძოლაში მისმა ქვეგანაყოფმა, რომელიც რთულ პირობებში იმყოფებოდა, გაანადგურა მტრის ჭარბი ძალები, მოსპო ათასზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდო დიდძალი დავლა. ბრძოლის დამთავრებამდე ხელმძღვანელობდა რა თავის ქვეგანაყოფს, ამხ. კეთილაძემ თავისი გულადობითა და უშიშრობით უზრუნველჰყო სრული გამარჯვება.

1942 წელს ამხ. ს. კეთილაძე დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით.

მ. ბაგრატიონი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სსრ კავშირის ფინანსკომისა და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაკებმა, სურთ რა დაეხმარონ ჩვენს გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უფრო მალე განადგურებასა და მოსპობაში, თავისი დანაზოგიდან შეიტანეს წითელი არმიის ფონდში ტანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობისათვის 11 მილიონი 674 ათასი მანეთი.

პირობას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ საფინანსო მუშაკები მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარენ სსრ კავშირის ფულადი სისტემის შემდგომ განმტკიცებას და ფრონტისა და ზურგის საჭიროებათა შეუფერხებლივ დაფინანსებას, ამ მიზნისათვის მოახდენენ ჩვენი ქვეყნის მთელი საფინანსო რესურსების მობილიზაციას და გაატარებენ მომჭირნეობის უსასტიკეს რეჟიმს სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ა. ზვერევი

საფინანსო-სადანაკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზასლავინი

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარს ამხანაგ ზვერევს საფინანსო-სადანაკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ზასლავინს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა სსრ კავშირის ფინსახკომისა და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც 11.674.000 მანეთი შეაგროვეს ტანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ძლიერმა და სახელოვანმა წითელმა არმიამ თქვენი მთავარსარდლობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა,—მოსპო გერმანელ ფაშისტთა რჩეული ჯარების დიდი არმია სტალინგრადის რაიონში და ამით საუკუნოდ გაუთქვა სახელი საბჭოთა იარაღს.

ივანოვოს ოლქის მშრომელნი ამაყობენ იმით, რომ სტალინგრადის სახელოვან დამცველთა რიგებში ჩვენი ამხანაგი ივანოვოელებიც იბრძოდნენ.

ივანოვოს ოლქის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის გამარჯვებებით და ცდილობენ დაეხმარონ განთავისუფლებულ რაიონებს რაც შეიძლება მალე აღადგინონ სახალხო მეურნეობა და ლიკვიდაცია უყონ გერმანელი ოკუპანტების ყაჩაღობის შედეგებს, გადასწყვიტეს დახმარება აღმოუჩინონ სტალინგრადის ოლქის განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას.

ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებმა განთავისუფლებულ რაიონებს გამოუყვეს 1943 წლის საგაზაფხულო თესვისათვის 65.000 ფუთი თესლი და კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის 1.500 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებმა გადასწყვიტეს გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ 5 მილიონი მანეთის პირველი საჭიროების საქონელი: თეთრეული, ქვეშაგები, სამზარეულო ინვენტარი, ჭურჭელი და სხვა, ხოლო სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა—გამოიმუშაონ გეგმის გადამეტებით 3 მილიონი მანეთის ფანჯრის მინები, შუშის ჭურჭელი, საოჯახო ინვენტარი, სატრიკოტაჟო და სამკერვალო ნაკეთობა. საავადმყოფოთა, სამკურნალოთა და საბავშვო დაწესებულებათა აღსადგენად ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მოაწყონ 60-საწოლიანი საავადმყოფო ქირურგიული, თერაპიული და საინფექციო განყოფილებებით, პოლიკლინიკა, რომელსაც ექნება სამი მისაღები: ქირურგიული, თერაპიული და საბავშვო, საბავშვო ბაგები 1.000 საწოლით და ყველა ეს დაწესებულება მთლიანად დააკომპლექტონ ინვენტარით, მოწყობილობით, ინსტრუმენტებითა და გამოცდილი კადრებით. განთავისუფლებულ რაიონების სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებებისათვის გამოყოფილია 1.500 კომპლექტი ზედა და ქვედა თეთრეული და 1.500 კომპლექტი ქვეშაგები. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების მუშაკები ინვენტარითა და ინსტრუმენტებით გააწყობენ ერთ სახელოსნო სასწავლებელს და ერთ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლას.

სახალხო განათლების მუშაკებმა ოლქის მოსწავლეთა შორის შეაგროვეს 50.000 სახელმძღვანელო და 50.000 საბავშვო წიგნი. განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების მოწყობა გრძელდება. თქვენი მითითებით ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ გაიგზავნება განთავისუფლებულ რაიონებში. დაე, განთავისუფლებული ძმებისა და დებისადმი ჩვენ მიერ გაწეულმა მცირე დახმარებამ ხელი შეუწყოს მათ რაც შეიძლება მალე მოიშუშონ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ მიყენებული ჭრილობანი. დაე, ეს დახმარება იყოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის და ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა საბრძოლო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ერთ-ერთი გამოხატულება მრავალთა შორის.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ივანოვოს ოლქის მშრომელები სიტყვას გაძლევენ, რომ ისინი შემდეგშიც შეუსვენებლივ იმუშავებენ იმისათვის, რომ მთელი საჭირო დახმარება გაუწიონ ფრონტს გერმანელ დამპყრობთა და მათ დამქაშთა განადგურებაში და ფაშისტს აყრაღთა ურდოების შემოსევისაგან დაზარალებული რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი პალცევი

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შუბინი

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის

გუშინ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოში მოხდა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მუშაკთა ჯგუფისათვის მთავრობის უმაღლესი ჯილდოს—სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

წითელი კუთხის სადგომი გაჭედილი იყო კავშირგაბმულობის მუშაკებით. ხანგრძლივ ტაშისცემაში პოდპოლკოვნიკი ამხ. პ. დ. კოსინოვი აქებენებს ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კავშირგაბმულობის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი ამხ. პ. ი. ეფიმოვი ორდენებსა და მედლებს გადასცემს დაჯილდოებულთ. წითელი ვარსკვლავის ორდენი პირველად გადაეცა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ი. ზ. მონიავას. შემდეგ წითელი ვარსკვლავის ორდენს იღებენ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე და მთავარი ინჟინერი გ. ა. ქრისტესაშვილი, რადიოკავშირგაბმულობის დირექციის უფროსი ინჟინერი გ. ბ. კარაპეტიანი, ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი მექანიკოსი ე. ა. ხაჩატურიანი, ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი ინჟინერი ა. ფ. ჭიქავა და რადიოკავშირგაბმულობის დირექციის მთავარი ინჟინერი ზ. ვ. თოფურია.

მედალი „სამხედრო დამსახურებისათვის“ ეძლევათ რადიოკავშირგაბმულობის დირექციის უფროსს ლ. ს. ალაბაბოვს, თბილისის საქალაქთაშორისო სადგურის უფროსს მ. ნ. ინაურს, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სატელეგრაფო-სატელეფონო განყოფილების უფროსის მოადგილეს პ. დ. გურეკაიას, ტელეფონისტ ქალს ვ. ვ. ვინეციანოვას, ტელეფონისტ ქალს კ. პ. ბახუტაშვილს, მეთვალყურეებს ვ. ბ. აბაევს, ი. ი. იაძეს, ი. დ. პოლოზოვს, ტელეფონისტ ქალს კ. ვ. უტკინას, გუდაურის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს ი. ნ. სეთურიძეს, ტელეფონისტ ქალს ვ. ზ. ალაშვილას და თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის დირექტორს ნ. ვ. ჯავახიშვილს.

გენერალ-მაიორმა ამხ. პ. ი. ეფიმოვმა ჯულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში. დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვეს ინჟინერმა ზ. ვ. თოფურიამ და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ი. ზ. მონიავამ, რომლებმაც მოუწოდეს კავშირგაბმულობის მუშაკებს წითელი არმიის საბრძოლო წარმატებათა პასუხად კიდევ უფრო გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებულ ოლქებსა და რაიონებში კავშირგაბმულობის საშუალებათა აღდგენის საქმეს.

ამხ. მონიავამ გამოაქვეყნა მოსკოვიდან მიღებული მისალოცი დეპეშა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ომელჩენკოსი.

კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის ორდენებისა და მედლების გადაცემას დაესწრო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე.

(საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 18 თებერვალი (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის ინგლისის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ მერვე არმიის მოწინავე ნაწილებმა მიაღწიეს შედენინს, რომელიც მდებარეობს 30 მილზე მარეტის ხაზთან. 16 თებერვალს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ჰერაკლიონის (კრეტის კუნძული) აეროდრომსა და ნავსადგურს, ავრეთვე სიცილიის კუნძულის რკინიგზის ხაზებს.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა დასავლეთ გერმანიას

ლონდონი, 18 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 17 თებერვალს ღამით ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ობიექტებს. სხვა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ობიექტებზე. გამანადგურებელთა სხვა შეიარაღებებმა დაიბომბეს ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინიგზების მოძრავი შემადგენლობა. ოთხი გამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას

ლონდონი, 18 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 17 თებერვალს დღისით ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ობიექტებზე. ბომბდამშენებმა ბრძოლა ჩაატარეს ბელგიის ესკადრილიები თავს დაესხნენ დიუნკერკის რაიონს. გამანადგურებელთა სხვა შეიარაღებებმა დაიბომბეს ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინიგზების მოძრავი შემადგენლობა. ოთხი გამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანელები ხელში იგდებენ ამერიკელთა საკუთრებას საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმოწმებს ნეიტრალური ქვეყნების საბანკო წრეებიდან მიღებულ ცნობებს და იუწყება, რომ გერმანულ ორგანიზაცია „ტრაიჰანდგეზელშაფტს“ გადაეცა საფრანგეთში არსებული ამერიკელთა კუთვნილი საწარმოების მთელი ქონება. ჰიტლერელებმა ხელთ იგდეს ავრეთვე ამერიკის ბანკების მთელი ფონდები. საფრანგეთში არსებული ამერიკელთა საწარმოების სათავეში დაყენებულია ადმინისტრაცია, რომელიც გერმანელი „ინსპექტორების“ მეთვალყურეობით მოქმედებს. ამერიკელთა ბანკები იღებენ შენატანებს, მაგრამ სესხს არ იძლევიან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 თებერვლის დილის ცნობა

17 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერთან ბრძოლაში გვარდიის 5 ნაწილმა მოსპო ფაშისტთა 20 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და გასწყვიტა 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კრამატორსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 5 ქვეგანაყოფის წინაღმდეგ გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს დიდძალი ქვეითი ჯარი და 17 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიში, დასწვეს 2 ტანკი და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა უეცარი დარტყმით განდევნეს გერმანელები დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდეს 4 ქვემეხი, და 7 ნაღმსატყორცანი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ხარკოვის მახლობლად ჩვენმა ტანკისტებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური და ხელთ იგდეს მტრის 150 ორთქლმავალი, 14 სარკინიგზო ეშელონი ტვირთიანად, მათს რიცხვში 75 ვაგონი უუმბარებიანად და ავიაბომბებიანად, 4 მძიმე ტანკი და სხვა დავლა.

* * *

ზმიევის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, და ხელთ იგდეს ჯავშნიანი მანქანა, 2 თვითმავალი ქვემეხი, 7 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 15 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

* * *

კურსკის ჩრდილოეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ტანკისტები შეიჭრნენ დასახლებულ პუნქტში და გაანადგურეს მტრის გარნიზონი. გაწყვეტილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 5 ქვემეხი და 13 ავტომანქანა. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი 3-დან 8 თებერვლამდე 17 თებერვლის ღამის განმავლობაში, ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერთან ბრძოლაში 5 ნაწილის მოსპო ფაშისტთა 20 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და გასწყვიტა 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კრამატორსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 5 ქვეგანაყოფის წინაღმდეგ გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს დიდძალი ქვეითი ჯარი და 17 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიში, დასწვეს 2 ტანკი და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა უეცარი დარტყმით განდევნეს გერმანელები დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდეს 4 ქვემეხი, და 7 ნაღმსატყორცანი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ხარკოვის მახლობლად ჩვენმა ტანკისტებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური და ხელთ იგდეს მტრის 150 ორთქლმავალი, 14 სარკინიგზო ეშელონი ტვირთიანად, მათს რიცხვში 75 ვაგონი უუმბარებიანად და ავიაბომბებიანად, 4 მძიმე ტანკი და სხვა დავლა.

* * *

ზმიევის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, და ხელთ იგდეს ჯავშნიანი მანქანა, 2 თვითმავალი ქვემეხი, 7 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 15 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

* * *

კურსკის ჩრდილოეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ტანკისტები შეიჭრნენ დასახლებულ პუნქტში და გაანადგურეს მტრის გარნიზონი. გაწყვეტილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 5 ქვემეხი და 13 ავტომანქანა. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი 3-დან 8 თებერვლამდე რამდენჯერმე უეცრად დაესხა თავს მტრის გარნიზონებს და გასწყვიტა 400-მდე გერმანელი ფაშისტი დამპყრობი. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი, 210 შაშხანა, 15 დამპალი და ოთხდერეტი საწყობი სურსათიანად. პარტიზანებმა მოსახლეობას დაურიგეს ბევრი მარცვლეული, რომელიც ჰიტლერელებს გლეხებისათვის წაერთმიათ. განთავისუფლებულია რამდენიმე ასეული მუშა და კოლმეურნე, რომლებიც გერმანელებს ძალით უნდა წაეყვანათ გერმანიაში საკატორღო სამუშაოზე.

* * *

გერმანელთა ფოსტაში, რომელიც ხელთ ვიგდეთ კრასნოდარში, აღმოჩენილია გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრი წერილი. ობერ-ეფრეიტორი მათიას იანსენი სწერს: „...შეგიძლიათ მერწმუნოთ, რომ ასეთ სამწუხარო ახალ წელს მე ჯერ არასოდეს არ შევხვედრივარ. სწორედ ამ საღამოს ჩვენ უკან ვიხევდით. უკან დახევა ჩვენთვის ადვილი არ იყო. ბევრი ჩემი ამხანაგი უკვე ველარასოდეს ვერ შეხვდება ახალ წელს. ჩვენ ყველას დაგვეკარგა ჯარისკაცის სახე, იმდენად საშინელი იყო უკანასკნელი დღეები...“ ჯარისკაცი ზიგფრიდ ბირკმანი თავის ძმას ევალდს სწერს: „ჩვენ განვაგრძობთ უკან დახევას კავკასიიდან და უკვე 340 კილომეტრი გამოვიარეთ. რატომ მოხდა ასე, არავინ იცის. ზოგიერთი ამბობს, უკან დახევა რაღაც მაღალი მოსაზრებებით არის გამოწვეული. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი—მე პატარა კაცი ვარ და მოვალე არა ვარ ყველაფერი ვიცოდე. მე ვფიქრობ, რომ რუსებს სურთ აქ მეორე სტალინგრადული ქვაბი მოგვიწყონ“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მი

„ხარკოვის დაკავება ახალი უმაგალითო ძალის დარტყმაა გერმანიის არმიისათვის“

გამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ჯარების შეტევის გამო

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი (საკადისი). ამერიკის რადიოსადგურებმა, შესწყვიტეს რა თავიანთი ჩვეულებრივი პროგრამა, ფართოდ გაავრცელეს ცნობა საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავების შესახებ. ვაშინგტონელმა რადიოინიმომხილველმა სუინგმა განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავება ახალ საფრთხეს უქმნის გერმანიის ჯარებს და წარმოადგენს ახალ უმაგალითო ძალის დარტყმას გერმანიის არმიისათვის.

სან-ფრანცისკოს რადიო აღნიშნავს, რომ ხარკოვის დაკავება ნიშნავს გერმანიის თავდაცვისათვის ერთ-ერთი მისი მთავარი დასაყრდენი პუნქტის ხელიდან გამოცლას.

ამერიკული პრესა განაგრძობს წითელი არმიის მიერ როსტოვისა და ვოროშილოვგრადის დაკავების გაცხოველებით კომენტარებას.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ აზრით, წითელმა არმიამ უკვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ღირძის სახელმწიფოთა დამარცხებას. წითელმა არმიამ ფაქტიურად შეცვალა ომის მსვლელობა. სამხედრო თვალსაზრისით, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, „მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოკავშირეებმა რუსების წარმატებანი გამოიყენონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მძლავრად დაარტყან ჰიტლერს.

სამხედრო ინფორმაციის ამერიკული ბიურო გადმოგვცემს სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრის, რესპუბლიკელ დევისის (პენსილვანიის შტატი) განცხადებას წითელი არმიის მიერ როსტოვისა და ვოროშილოვგრადის დაკავებასთან დაკავშირებით. „ჩვენ, — სთქვა დევისმა, — რუს ხალხთან ერთად ვდღესასწაულობთ ახალ შესანიშნავ გამარჯვებას—ნაცისტი აგრესორებისაგან როსტოვისა და ვოროშილოვგრადის განთავისუფლებას. როგორც რუზველტმა განაცხადა, რუსეთის არმიების საუცხოო მიღწევები ჩვენ ყველას ახალი ბრძოლისათვის აღვავფრთოვანებენ. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევამ დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენს გულში, სტალინგრადთან გერმანიის არმიების გაელეტა ყველა გაერთიანებულ ქვეყანაში აღინიშნა როგორც დიდი. დღესასწაული. კურსკის განთავისუფლება გასულ კვირას და როსტოვისა და ვოროშილოვგრადის განთავისუფლება ამუამად რუსთა მამაცობის შესახებ დიადი თქმულების ახალი ფურცლებია. ამ გამარჯვებათა შედეგად რუსების ხელში აღმოჩნდა კავკასიის კარი. გერმანიის არმიებს კოლოსალური ზარალი მოუვიდათ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. რუსეთში შეჭრილი გერმანელთა არმიების გათიშვაში მიღწეული ეს წარმატება საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობის ბრწყინვალე სტრატეგიისა და ტაქტიკის ახალ დამსახურებას წარმოადგენს“.

იუნაიტედ პრესის საგენტოს მიმომხილველი კიმლი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ჰიტლერი იძულებულია გამოიყენოს თავისი რეზერვები საბჭოთა ჯარების შეტევის მოსაგერიებლად. ეს,—აცხადებს კიმლი,—ამარტივებს დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის ამოცანას.

„ხარკოვის დაკავება ღიღებას ჰმაგებს საბჭოთა ხალხს მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში“

გამოსვლა ინგლისში საბჭოთა ჯარების ახალ გამარჯვებაზე

ლონდონი, 17 თებერვალი (საკადისი). გუშინ საღამოს, საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავების შესახებ ცნობის მიღებისთანავე, ლონდონის რადიომ ეს ამბავი მთელს ინგლისს აცნობა. ეს ცნობა ლონდონის რადიომ რამდენჯერმე გადასცა. რადიოკომენტატორებმა მას მიუძღვნეს თავიანთი მიმოხილვანი. რადიოინიმომხილველმა რობერტ ფრეზერმა თავის სიტყვაში, განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავების ამბავი ისე გაისმის გერმანელთა არმიებისათვის, როგორც დასამარების ზარის კიდევ ერთი ჩამოკვრა. ლონდონის რადიოგადაცემაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხარკოვის დაკავება დიდებას ჰმატებს საბჭოთა ხალხს მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. რადიოკომენტატორი ჰეისტინგსი აცხადებს, რომ წითელი არმიის მიერ ხარკოვის დაკავება ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და წითელი არმიის წინაშე ფართო პერსპექტივებს შლის. ხარკოვის დაკავება წითელ არმიას საშუალებას მისცემს ახალ-ახალი მძიმე დარტყმები აგებოს მტერს.

ყველა რადიოგადაცემაში ხაზგასმით აღნიშნავენ ხარკოვის როგორც დიდი სამრეწველო ცენტრისა და რკინიგზის კომუნიკაციების თვალსაზრისი კვანძის დიდ მნიშვნელობას.

რეიტერის საგენტო იუწყება, რომ ლონდონის ყველა გაზეთი ერთსულოვნად აღნიშნავს საბჭოთა ჯარების ახალი გამარჯვების დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ჰიტლერულ სარდლობას განზრახული ჰქონდა შეენარჩუნებინა ქალაქი რადაც უნდა დასჯდომოდა. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ გაზაფხულის დადგომისას და გაზაფხულის უგზოობისას საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავება განუზორციელებელი აძოცანა გახდებოდა. გერმანელთა ყველა ეს იმედი, სწერს გაზეთი, უფრო ადრე გაქრა, ვიდრე რუსეთის თოვლი.

„დეილი ექსპრესი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ წითელი არმიის ახალი გამარჯვება კიდევ უფრო დასცემს სულიერად გერმანელთა ჯარებს. „1943 წელს,—ნათქვამია სტატიაში,—ჩვენ უნდა დავამთავროთ საქმე ევროპის კონტინენტზე“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს ხარკოვის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას და სწერს, რომ ხარკოვის რაიონში შექმნილ ნაპრალში ღრმად შეღწევა დიდ სტრატეგიულ შესაძლებლობებს ჰქმნის წითელი არმიის წინაშე.

ავის საგენტო იუწყება, რომ წითელი არმიის მიერ ხარკოვის დაკავების ამბავი ლონდონში ისე მიიღეს როგორც უდიდესი სენსაცია. ინგლისში ამ მოვლენას უყურებენ როგორც წითელი არმიის უდიდეს გამარჯვებას.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო თავის ცნობაში ხაზგასმით აღნიშნავს ხარკოვის დაკავების დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მიიღეს ზრანსპორტის მოწინავე ადამიანები

მოწინავე ადამიანების პარტიაში მიღებას სერიოზულ ყურადღებას აქცევს ლ. ბ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტიული ორგანიზაცია. უკანასკნელი ერთი წლის განმილზე პარტიაში მიღებულ იქნა 51 კაცი, მათ შორის პარტიის წევრად 20 და პარტკანდიდატად — 31. მათი უმრავლესობა ომიანობის დროის სტაჟანოველებია.

პარტიაში მიღების საქმეში კარგად იმუშავა საკავშირო საბჭოს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — ა. ჩრიკიშვილი). პარტიაში მიღებული არიან მოწინავე ადამიანები. ისინი საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრად მიღებული მჭედელი ე. რახუმა გეგმებს ყოველთვის 300-400 პროცენტით ანაღდებს, მატარებლის გამსინჯველი ივ. ჩერქეზიშვილი — 250-300 პროცენტით.

პარტიის რიგების ზრდის საქმეში ერთგული წარმატება მოიპოვა აგრეთვე სასაქონლო სადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — ი. ჯანეზაშვილი).

ნავთლუღის კვანძის პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ პარტიაში ახალმიღებულთა პრაქტიკულ, პარტიულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოწრთობას, აძლევენ მათ პარტიულ დავალებებს, ამოწმებენ ამ დავალებათა შესრულებას, ეხმარებიან მათ მუშაობის ბოლშევიკური ჩვევების გამომუშავებაში; ნავთლუღის სახალხო სადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში კანდიდატად მიიღო მეისრე ნატალია ჩერნოლიახოვა. პარტიაში შესვლის შემდეგ ამხ. ჩერნოლიახოვამ უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავისი სპეციალობის დაუფლებას. პარტორგანიზაციის დახმარებით მან საფუძვლიანად შეისწავლა მეისრეობა და მალე უფროსი მეისრე გახდა. მაგრამ იგი არც ამით დაკმაყოფილდა, კვლავ განაგრძო სწავლა, გაგზავნილ იქნა სადგურის მორიგეთა 5-თვიან კურსებზე, რომელიც ფრიალზე დაამთავრა, ახლა იგი სადგურის მორიგედ მუშაობს და ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლება.

საჭიროა მუშაობის გაუმჯობესება

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. გურგენიძე) 1942 წელს 18 მოწინავე ადამიანი მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, ხოლო 16—წევრად. კანდიდატად მიღებულთა შორის არის 7 მჭსოველი და 2 ოსტატი. პარტიაში მიღებულნი წარმოების მოწინავე ადამიანები არიან. ისინი ფრონტულად მუშაობენ და ამით ეხმარებიან წითელ არმიას ფაშისტ ავაზაკთა განადგურებაში. მჭსოველი სერიპანაი ყოველთვიურ გეგმას 120-125 პროცენტით ასრულებს, ფაბრიკის ცნობილი მჭსოველი ოლგა შაბუნინა, რომელიც მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 130-140 პროცენტით ანაღდებს. სტახანოველებმა არიან სამამულო ომის დღეებში პარტიაში მიღებული ქვეოსტატი ფერაძე, რომლის კომპლექტი გეგმებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს, მჭსოველი ანტონენკო, იაროსლავსკაია, ტარასენკოვა, რომლებიც საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ეხმარებიან ქარხანაში ახალმოსულ მუშებს საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში.

მომდინარე წელს პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად ტექნიკოსს ამხ. ალ. ფხაკაძეს სადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ დაავალა საგიტაციო მუშაობის მოწყობა ყოფ. საარჩევნო უბნის № 51 მცხოვრებს დიასახლისთა შორის. პარტბიუროს დავალებას მას მუშაობის დაყენებაში. თვითონ ამხ. ფხაკაძემ მონდომება და უნარი გამოიჩინა დამალე კარგი აგიტატორი გახდა. დიასახლისებმა, რომლებსაც ამხ. ფხაკაძე საგიტაციო ხალხურებს უტარებს, 2.000 მანეთზე მეტი შეიტანეს ავიაციაკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში.

კარგად მუშაობს პარტიაში ახალმიღებულებთან სავაგონო საამქროს პარტიული ორგანიზაცია. პარტბიუროს დახმარებით თვალსაჩინოდ გაიზარდნენ პრაქტიკულ მუშაობაში პარტკანდიდატები ს. უმეაშვილი, ს. აგულაშვილი, ბუნინი, და სხვ. ისინი აგრეთვე სერიოზულად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. სწავლობენ პარტიის ისტორიას, პარტიის წესდებას და პროგრამას, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

მაგრამ აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კვანძის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგად ვერ მუშაობს პარტიის რიგების ზრდისათვის. მე-7 სალიანდაგო დისტანციის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს ყოფ. მდივანი — ელ. ისახანოვა) იმის გამო, რომ სუსტად მუშაობს, მთელი წლის განმავლობაში არც ერთი კაცით არ გაზრდილა. 2 თვეზე მეტია პარტიაში მიღების შესახებ განცხადება აქვთ შეტანილი სტახანოველ მჭედელ გაბინაშვილს და ტექნიკოს მატინოვს, მაგრამ ეს განცხადებები ჯერაც არ განუხილავთ. ამ პარტორგანიზაციაში არიცხებიან აგრეთვე სტაჟგადაცილებული კანდიდატები, რომელთაც არ ეხმარებიან პარტიაში მიღების საქმეში.

ასევე სუსტად მუშაობს კავშირგამტარობის მე-4 დისტანციის პარტიული ორგანიზაცია.

სადგურ ნავთლუღის კვანძის პარტიულმა კომიტეტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში.

ლ. ჯავახაძე

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

ნიდ ჰექტარი ახალი ფართობი

ცხაკაია („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან საგაზაფხულო თესვის ვადაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. სტახანოვური ტემპებით მიმდინარეობს იარაღ-მანქანების შეკეთება, პირველი ხვნა, სათესი ფართობების შეღობვა და თესლის მომზადება. კოლმეურნეობებს უკვე შეკეთებული აქვთ 616 გუთანი, 198 ცალი ფარცხი, 805 სახნისი, 28 სათესი მანქანა, 168 კულტივატორი. მოხნულია 467 ჰექტარი. მათ შორის ყამირი 270 ჰექტარი, სათეს ფართობებში შეტანილია 1.000 ტონაზე მეტი ნაკელი. უხვი სამხედრო მოსავლის მიღების მიზნით კოლმეურნეობები წელს 608 ჰექტარ ახალ ფართობს აითვისებენ.

საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ ემზადება ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ უკვე დამთავრეს იარაღ-მანქანების რემონტი, ფართობების შეღობვა და თესლის შერჩევა. წელს ეს კოლმეურნეობა 60 ჰექტარ ახალ მიწას აითვისებს.

საგაზაფხულო თესვას სავსებით მომზადებული ხვდებიან აგრეთვე სოფელ ოქტომბრის ეროშილოვის სახელობის, სოფ. შხეფის კაროვის სახელობის, სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის, სოფელ ზეელი სუნაკის სტალინის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფ. ძველი სუნაკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობას, იარაღ-მანქანების უმნიშვნელო ნაწილი აქვს შეკეთებული. ასევე ჩამორჩნენ სოფ. ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა და სოფელ უშიფთის კოლმეურნეობები.

თესვისათვის ენერგიულად ემზადებიან

თეთრი წყარო (ტელეფონით). რაიონის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით, ენერგიულად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. რაიონის მტს-მა ძირითადად დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. მტს-ს უნდა შეეკეთებინა 36 ტრაქტორი, აქედან 35 უკვე შეკეთებულია. ერთი ტრაქტორიც ორ-სამ დღეში გამოვა რემონტიდან და შეუდგება მუშაობას.

საგაზაფხულო თესვისათვის 4.400 ცენტნერი თესლი გასუფთავებულია და აყვანილი კონდიციამდე.

საგაზაფხულო თესვისათვის რაიონს ესაჭიროება 350 გუთანი. 18 თებერვლისათვის მომზადებული იყო 335 გუთანი. 4.000 სული მუშა საკონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პლენუმი

12 თებერვალს მოსკოვში შესდგა საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გმირის პოდპოლკოვნიკ ამხ. ვ. გრიზოდუბოვას მოხსენება კომიტეტის მუშაობის შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ და კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ტ. ზუეევას მოხსენება უახლოესი პერიოდის ქუშაობის გეგმის შესახებ.

[illegible]

გამოფენა „წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXV წელი“

თბილისის წითელი არმიის სახლი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXV წლისთავისათვის დიდ საიუბილეო გამოფენას აწყობს. გამოფენა ასახავს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნისა და ზრდის ისტორიას. გამოფენის ცენტრალური ადგილი. დათმობილი აქვს საბჭოთა ხალხის სამამულო ომს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. გამოფენაზე ფართოდ იქნება ასახული სტალინგრადის გმირული დაცვა და გერმანელ ფაშისტთა ურდოების განადგურება სტალინგრადთან, აგრეთვე ბრძოლა კავკასიისათვის.

გამოფენა მნახველთათვის გაიხსნება 22 თებერვალს (საქდესი).

ნადავლი გერმანული საჭურვლის გამოფენა

ამიერ-კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველო მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXV წლისთავის დღისათვის თბილისში ბერიას სახელობის მოედანზე აწყობს გერმანული ნადავლი საჭურვლის გამოფენას; ეს საჭურველი ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს უკანასკნელ ძლიერამოსილ ბრძოლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

გამოფენილია ყველა სახის მძიმე შეიარაღება: მტრის ტანკები, თვითმფრინავი, სხვადასხვა ყალიბის ქვემეხები, საზენიტო დანადგარები, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, აგრეთვე ყოველგვარი ტიპის ავტომატი, შტაბისა და სპეციალური დანიშნულების სხვა მანქანები.

ნადავლის გამოფენა იხსნება 21 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე (საქდესი).

ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად

სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის პაგრიოტულად ზრუნავენ

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები დღითი დღე აძლიერებენ დახმარებას გმირი წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებისადმი.

ამ დღეებში ფრონტელთა ოჯახებისათვის კოლმეურნეობებში გამოიყვეს 15 ტონაზე მეტი სიმინდი, 500 კუბმეტრი შეშა, 2.300 კონა ნალა, დიდძალი სასურსათო პროდუქტები. ფრონტელთა ოჯახებისათვის შეგროვებულ იქნა აგრეთვე თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ფულად 15.000 მანეთამდე. ფრონტელთა 95 ოჯახს, მისცეს და შინ მიუზიდეს შეშა, შეაკეთეს ფრონტელთა ოჯახის 35 ბინა, ბევრ ოჯახს სამშენებლო მასალა და სიმინდი მიეცა.

სოფ. [illegible] კოლმეურნეობა „რიონჩეს-[illegible]“ (თავმჯდომარე კ. ბუღალძე) წითელარმიელების ყუფარიძისა და ახვლედიანის ოჯახებს შეუძინეს მეწველი ძროხები დღნორისის კოლმეურნეობა „წითელ ფარეკლავში“ კოლმეურნეებმა თავიანთი პირადი დანაზოგიდან წითელარმიელთა ოჯახებისათვის გამოაკლეს 40 ფუთზე მეტი სიმინდი, 50 კუბმეტრი შეშა, ავგრეთვე სამშენებლო მასალა. ფრონტელ გვარასიმე ჩხაბერიძის ოჯახს მიეცა 3 ფუთი სიმინდი და სხვა პროდუქტები. ასეთივე დახმარება გაეწია ფრონტელების — შ. კახიძისა, ლ. ჩხაბერიძისა და მ. ლომთათიძის ოჯახებს. სოფ. სახნეურაში ფრონტელთა 10 ოჯახს უსასყიდლოდ მიეცა პროდუქტიული დღეთხები.

შ. ჯავახაძე

პროდუქტები, ბანსაცმელი, საოჯახო ნივთები

ფოთი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად ფოთის რაიონში შეგროვებულია 2.000 კილოგრამი სიმინდი, 150 კილოგრამი ხორცი, დამზადებულია 250 კუბმეტრი შეშა, დიდი რაოდენობით შეგროვებულია ჯურჭლეული და თბილი ტანსაცმელი. სოფ. პატარა ფოთის კოლმეურნეებმა ფრონტელთა ოჯახებისათვის გაიღეს 570 კილოგრამი სიმინდი, 95 კილოგრამი ხორცი, 54 კილოგრამი ლობიო და 60 კუბმეტრი შეშა.

ვ. ჯუჯაბაძე

ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პრაქტიკაში

5 თებერვალს, ღამის 2 საათზე, ქობულეთის მახლობლად ბათუმის თეატრის კოლმეურნეობის „წითელი მეთვეზეს“ მებადურმა იუსუფ ბეკანიძემ თევზაჭერი ბადით, ნაპირიდან 30 მეტრის მანძილზე სამ ტონა ხამსასთან ერთად ბადით გამოათრია დიდი თევზი, რომლის სიგრძეც 3 მეტრს და 25 სანტიმეტრს შეადგენდა, ხოლო წონა 516 კილოგრამს. ეს თევზი, რომელსაც რუსულად „ტუნეცს“ უწოდებენ,



ხოლო ბერძნულად „თინნუსს“, მოიპოვება ატლანტის ოკეანეში და ძალიან იშვიათად შედის ზღვაში. „ტუნეცი“ გაურბის ხმაურს. „ტუნეცს“ კარგი ხორცი აქვს.

ამ ინვიათი თევზის ტყავი გადაეცა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ხაქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის მეთევზეობის სამეცნიერო სადგური შეუდგა ამ ინვიათი შემთხვევის შესწავლას.

ხელმოწერა: ამხ. ი. ბეკანიძე მის მიერ დაჭერილ „ტუნეცთან“.

კინოებში

რუსთაველის ხახ. და ოქტომბერი — „სამი მუშკეტერი“, **დამცველი** — „საიდუმლო კუნძული“, **კომკავშირელი** — „დაკარგული სამოთხე“. **სპარტაკი** — „ღამის დღე“ ლუსემბურგის ხახ. — „ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. **26 კომ. ხახ.** — „ალექსანდრე პარხომენკო“.

ლექციები ჯ მოხსენებები

19 თებერვალს, ხალამის 6 საათზე, კიროვის ხახ. ინდუსტრიულ ინსტიტუტში (სასწავლო შესახვევი № 2/4) შესდგება ამხ. ხუდიმანის ლექცია თემაზე: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების მიღება შეიძლება ხაქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის აგიტპუნქტში და ინსტიტუტში.

მწერალთა კავშირში

20 თებერვალს, ხალამის 7½ საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში (ბარბალის ქ. № 13) შესდგება მწერალ ირაკლი ანდრონიკაშვილის შემოქმედებითი საღამო. ი. ანდრონიკაშვილი წაიკითხავს თავის „ზეპირ მოთხრობებს“.

19 თებერვალს, დღის 1 საათზე, პოეტებისა და პროზაიკოსების სექცია აწყობს პოეტ კალე ბობოხიძის ახალი ლექსების კითხვას.

თეატრებში

20 თებერვალს: ხახოპერა — „ფაუსტი“, **რუსთაველის ხახელობის** — „ოტელო“. **მარჯანიშვილის ხახელობის** — „კოლმეურნის ქორწინება“. **გრიბოედოვის ხახელობის** — „რუსი ადამიანები“. **ახუნდოვის ხახელობის** — „მაშადი იბად“. **მუსიკალური კომედიის** — „აროშინ-მალ-ალან“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „რომეო და ჯულიეტა“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „თოვლის დედოფალი“. **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — „პატარა მეომრები“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

11 თებერვალს მოსკოვში გარდაიცვალა
ბრიგოლ (გრიშა) ლეონტის-ძე ქუბაიძე
რისაც იუწყებიან და ავდოტია და შვილი ელენე. სამოქალაქო პანაშვიდი 21/II, 2 ს. ბინაზე, მაჩაბლის ქ. № 2. 320

საქ. სახელმწიფო ზოოტექნიკური-საქეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 21/II, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ტ. ბარათაშვილის ბიძის
მიხეილ ვასილის-ძე ბარათაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 332

საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან
თინა სიმონის-ასულ ფესხის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20/II, 7 ს. გამოსვენება 21/II, 2 ს. გურამიშვილის ქ. № 3, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 321

გლავზეტეხნიკის საქკანტორა იუწყება, რომ 21/II, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
შალვა რევაზის-ძე ფალავანდიშვილის
და
ოლია დავითის-ასულ ჯანტურია-ფალავანდიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 328

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინ-ჟინერ
ნიკოლოზ იოსების-ძე ინანიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20/II, 7 ს. დაკრძალვა 21/II, 2 ს. გამოსვენება კაჩუბეის ქ. № 10. 327

გორის ქალაქის საბჭოს აღმასკომის შუა-მოსამსახურენი იუწყებიან
ვლადიმერ (ტუტუ) კონსტანტინეს-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/II დღეს ჟონში (ციგეტკორის რაიონი). 333

თბილისის მე-3 სახელმწიფო სასწავლებლის დირექცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან
იაგორ იორდანეს-ძე ბალავაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დანირ-ქვეტირში. 323

მეორე სამკერვალო ქარხნის 29-ე საბაგშო ბაღი იუწყება
ალექსანდრე (ალიოშა) ქიმვარიდის-ძე ნიკოლაიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/II, 6 ს. სამოყვროს ქ. № 5. 324

თბილისის რაიონის ადვოკატთა იურიდიული კონსულტაცია იუწყება, რომ 21/II, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ჯუმბერ უალვას-ძე ალუიბაიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 326

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი

ცეცხლის ოსტატი

ჩვენი საველე ქვემეხები გერმანელთა თავდაცვას ანგრევდნენ.

კარგად რომ ინათა, ბორცვზე ჩასაფრებულმა გუშაგმა შორიდანვე შენიშნა სიმინდებს გადაღმა ავარდნილი მტვერი.

მტვერი ისე ერთბაშად, თოკივით გაება ყანების გასწვრივ, რომ იგი, უეჭველად, მანქანების ნაკვალევი უნდა ყოფილიყო.

გუშაგი მარდად გადაცურდა სიმინდებში. გზაზე მართლაც ორი მანქანა გამოჩნდა, ერთი — ჯავშნიანი იყო. ისინი გამალებული მიჰქროდნენ ხეობისაკენ. ეტყობა, ეშურებოდათ, რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ამ სახიფათო ადგილს.

გუშაგმა მაშინვე მეთაურს აცნობა საეჭვო მანქანების გამოჩენა.

მიწურიდან სწრაფად ამოვიდა წარმოსადეგი, შავგვრემანი ვაჟკაცი. ბინოკლი მოიმარჯვა.. გაეღიმა.

— ძალიან ჩქარობენ, მაგრამ შორს ვერ წავლენ. გამოგორეთ ქვემეხი! — უბრძანა სერჟანტს და მისმა ნაცადმა, თვალმა მყისვე გაიხსომა სამიზნო მანძილი.

მანქანები ხან ფერდობს მიჰყვარდებოდნენ, ხან ხეებში ჩაიმალებოდნენ, მაგრამ დივიზიონის მეთაურის, ალექსი პირმისაშვილის ქვემეხის ლულას ვერსად წაუვიდნენ.

პირდაპირი დამიზნებით ნასროლმა ყუმბარამ ჯავშნიანი მანქანის ნამსხვრევები ცას შეაყარა. მალე მეორეც ცეცხლში გაეხვია, და როდესაც შავი კვამლი გაიფანტა, შარაგზას უკვე აღარაფერი ამტვერებდა.

ქვემეხი ისევ დახურულ სიმარ ადგილს შეაფარეს და პირმისაშვილმა დინჯად განაგრძო ბატარიების ცეცხლის კორეგტირება.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა საქმე გააკეთა იმ ერთმა ქვემეხმა.

და მხოლოდ შუადღისას, როდესაც ჩვენმა მოიერიშე მებრძოლებმა ფაშისტი ოფიცერი ჩაიგდეს ხელში, პირმისაშვილმა შეიტყო, რომ დღეს მეტად ყისმათიანი საბრძოლო დილა გასთენებოდა. ოფიცრის დაკითხვაზე გამოირკვა, რომ პირმისაშვილის ქვემეხს მოეკლა გერმანელთა მეთაური, გენერალ-მაიორი ფონ მაკი, მისი დივიზიის შტაბის უფროსი, გრაფი ფონ ბეგენი და მთელი მათი ამალა..

სახელგანთქმული ქართველი არტილერისტი ალექსი პირმისაშვილი არასდროს გაურბოდა ხიფათიან ბრძოლას. როდესაც საჭიროება მოითხოვდა, გაბედულ მეთაურს ღია პოზიციებზე გამოჰქონდა თავისი ქვემეხები და პირდაპირი დამიზნებით ანადგურებდა გერმანელ ყაჩაღებს.

ერთხელ, გათენებისას, ჩვენი მსროლელი ქვეგანაყოფი ხიდზე უნდა გაჭრილიყო და მტერი განედევნა მდინარის მარცხენა ნაპირიდან.

მებრძოლები ის-იყო მდინარეს მიუახლოებდნენ, რომ უეცრად გაღმიდან, ხიდის ყურეში ჩასაფრებულმა ფაშისტების ტყვიამფრქვევებმა სროლა ასტეხეს. მათი ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენებმა წინსვლა შესწყვეტეს და მიწას გაეკრნენ.

მტერმა სროლას უფრო მოუხშირა.

ცოტაც და, — ელვისებურად დაწყებული შეტევა ჩაიშლებოდა, მაგრამ პირმისაშვილმა დროზე შენიშნა ჩვენი ქვეითების გაჭირვება.

გამოცდილმა არტილერისტმა თვალი შეავლო მდინარის მისადგომს და მაშინვე უყოყმანოდ ერთი ქვემეხი ხიდის პირდაპირ გამოადგა. გერმანელთა განუწყვეტელ ცეცხლქვეშ პირმისაშვილი თვითონ მოუჯდა ქვემეხის სამიზნოს.

მამაცი მეთაურის გარშემო ბუდე-აშლილ კრაზანებივით ზუზუნებდნენ ტყვიები, მაგრამ იგი მშვიდად, აუჩქარებლად, როგორც მუდამ სჩვეოდა, რაგინდ ფიცხელი ბრძოლა ყოფილიყო, ნიშანში იღებდა ფაშისტების საცეცხლე ბუნაგს.

თორმეტი ყუმბარა ისროლა პირმისაშვილმა და თორმეტივემ სასაკვდილოდ დასტაბეთა მიწაში ჩამძვრალი მტერი: მდინარის მარცხენა ნაპირი დადუმდა.

ამიტომ უყვარდათ ალექსი პირმისაშვილი და მისი სახელოვანი არტილერისტები სამშობლოსათვის თავშეფიცულ მებრძოლებს, გმირულად რომ იცავდნენ ჭალარა კავკასიონს გერმანელთა ველურ ურდოებისაგან.

მისი ქვემეხების გამამხნევებელ გუგუნს რომ გაიგონებდნენ, ყოველი მებრძოლი ლომგული ხდებოდა, რადგან იცოდა, პირმისაშვილის ნასროლი ყუმბარა ხმას უწყვეტდა გერმანელთა საცეცხლე ბუდეებს, ამსხვრევდა შავი სვასტიკით დადაღულ ტანკებს, ცოცხლად მარხავდა ბლინდაჟებში და მიწურებში ჩამძვრალ ფაშისტურ თხუნელებს, — სპობდა ყველაფერს, რაც წინააღმდეგობდა შეტევაზე გადასულ მებრძოლებს.

კარგად გამართული დაზვერვა